შპს „ფლექს გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 7

შპს „ფლექს გრუპი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	6	3 307 334	3 949 103
თვითღირებულება (2022: ადრე წარდგენილი 1612035 ₾)	7	(1 446 332)	(1 636 070)
მოგება (2022: ადრე წარდგენილი 2337068 ₾)		1 861 002	2 313 033
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	-	13 885
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (2022: ადრე წარდგენილი 538459 ₾)	8	(559 772)	(476 763)
საოპერაციო მოგება/ზარალი (2022: ადრე წარდგენილი 1812494 ₾)		1 301 230	1 850 155
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან (2022: ადრე წარდგენილი 230702 ₾)	9	33 708	232 302
არასაოპერციო ხარჯი (2022: ადრე წარდგენილი 6759 ₾)	10	(16 587)	(38 549)
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო ხარჯი)	11	(79 702)	(93 237)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე (2022: ადრე წარდგენილი 1943200 ₾)		1 238 649	1 950 671
მოგების გადასახადი		(80 248)	(86 563)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი (2022: ადრე წარდგენილი 1856637 ₾)		1 158 401	1 864 108
სულ საერთო შემოსავალი/ხარჯი (2022: ადრე წარდგენილი 1856637 ₾)		1 158 401	1 864 108

დირექტორი

არსენ ოდიშვილი

02 ოქტომბერი 2024 წ.

თბილისი, საქართველო

მთ. ბუღალტერი

ნათია ხანიშვილი

02 ოქტომბერი 2024 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „ფლექს გრუპ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები	*შენიშვნები*	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები (2022: ადრე წარდგენილი 1357337 ₾)	12	2162566	2146808	1366067
არამატერიალური აქტივები		0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები (2022: ადრე წარდგენილი 1357337 ₾)		**2162566**	**2146808**	**1366067**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები (2022: ადრე წარდგენილი 3175597 ₾)	13	2838607	2390163	1809878
სავაჭრო მოთხოვნები (2022: ადრე წარდგენილი 60780 ₾)	14	62746	60780	42861
სხვა აქტივები	15	10928	0	11113
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები (2022: ადრე წარდგენილი 747379 ₾)	16	140579	748979	228635
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	17	98077	184981	13642
სულ მიმდინარე აქტივები (2022: ადრე წარდგენილი 4168737 ₾)		**3150937**	**3384903**	**2106129**
სულ აქტივები (2022: ადრე წარდგენილი 5526074 ₾)		**5313503**	**5531711**	**3472196**
კაპიტალი და რეზერვები				
გაუნაწილებელი მოგება (2022: ადრე წარდგენილი 33601091 ₾)	18	4312317	3608653	2235177
სულ კაპიტალი (2022: ადრე წარდგენილი 3601091 ₾)		**4312317**	**3608653**	**2235177**
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები (2022: ადრე წარდგენილი 4802 ₾)	19	7716	2875	40896
სხვა ვალდებულებები	20	0	7703	7287
მიღებული ავანსები	21	27536	36579	24397
საგადასახადო ვალდებულება	22	0	5413	0
სესხები (საკრედიტო ხაზი)	23	965934	1870486	1164439
სულ მიმდინარე ვალდებულებები (2022: ადრე წარდგენილი 1924983 ₾)		**1001186**	**1923056**	**1237019**
სულ ვალდებულებები (2022: ადრე წარდგენილი 1924983 ₾)		**1001186**	**1923056**	**1237019**

დირექტორი

არსენ ოდიშვილი

02 ოქტომბერი 2024 წ.

მთ. ბუღალტერი

ნათია ხანიშვილი

02 ოქტომბერი 2024 წ.

შპს „ფლექს გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (2021: ადრე წარდგენილი 2235086 ₾)	-	**2 235 177**	**2 235 177**
დივიდენდები	-	(490 633)	(490 633)
წლის მთლიანი სრული მოგება (2022: ადრე წარდგენილი 1856637 ₾)		1 864 108	1 864 108
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (2022: ადრე წარდგენილი 3601091 ₾)	-	**3 608 652**	**3 608 652**
დივიდენდები	-	(454 737)	(454 737)
წლის მთლიანი სრული მოგება		1 158 401	1 158 401
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	-	**4 312 317**	**4 312 317**

შპს „ფლექს გრუპი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე (2022: ადრე წარდგენილი 1943200 ₾)	1 238 649	1 950 671
ცვეთა და ამორტიზაცია	93 580	84 826
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან (2022: ადრე წარდგენილი (230702) ₾)	(33 708)	(232 302)
საპროცენტო ხარჯი	79 702	93 237
შემცირება/ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში (2022: ადრე წარდგენილი (1365718) ₾)	(448 444)	(580 285)
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(12 894)	(6 806)
შემცირება/ზრდა გადახდილ ავანსებში (2022: ადრე წარდგენილი (518744) ₾)	608 400	(520 344)
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში (2022: ადრე წარდგენილი (35770) ₾)	(2 862)	(37 605)
შემცირება/ზრდა მიღებულ ავანსებში	(9 043)	12 182
შემცირება/ზრდა გადასახდელ გადასახადებში	(5 413)	5 413
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან (2022: ადრე წარდგენილი (18882) ₾)	**1 507 967**	**768 987**
მოგების გადასახადი	(80 248)	(86 563)
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან (2022: ადრე წარდგენილი (105445) ₾)	**1 427 719**	**682 424**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
შემცირება/ზრდა ძირითად საშუალებებში (2022: ადრე წარდგენილი (76096) ₾)	(109 339)	(865 565)
შემცირება/ზრდა ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში		
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან (2022: ადრე წარდგენილი (76096) ₾)	**(109 339)**	**(865 565)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი სესხი	(984 254)	612 810
გადახდილი დივიდენდი	(454 737)	(490 633)
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან	**(1 438 991)**	**122 177**
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე (2022: ადრე წარდგენილი 230702 ₾)	33 708	232 302
წმინდა ფულის ზრდა	**(86 903)**	**171 338**
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	***184 981***	***13 642***
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	***98 077***	***184 981***

შპს „ფლექს გრუპი"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისათვის

(ლარი)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფლექს გრუპი" (შემდგომში კომპანია) შექმნილია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 29/10/2012 წელს რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 404962073; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, კოსმონავტების სანაპირო, N49, კომერციული ფართი N4; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, კოსმონავტების ქ. №49, საზოგადოების საქმიანობის ძირითად პროფილს წარმოადგენს სასტუმროს ინვენტარის და სხვა მასალების მიწოდება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის კომპანიის დამფუძნებლები და წილის მფლობელები არიან:

მესაკუთრე	პირადი ნომერი	წილი
არსენ ოდიშვილი	16001003828	33%
ირაკლი ამანათიშვილი	01010005545	33%
ნანა გეგელაშვილი	01032002933	34%

შენიშვნა 2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდატრების კომიტეტის (ბასს) მიერ გამოშვებული მსს ფინანასური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში მსს ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, როგორც 28-ე შენიშვნაშია მოცემული.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის"-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.
სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.
გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;

- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და

- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6894	2,9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,7020	2,8844

ძირითადი საშუალებები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება ისტორიული ღირებულებით (თვითღირებულებით), რომელიც მოიცავს აქტივების შეძენასთან და ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ექსპლუატაციაში გადაცემის შემდგომი ხარჯებიდან მისი ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და ამასთან შესაძლებელია მისი ღირებულების რეალურად შეფასება, აღირიცხება ცალკე აქტივად ან ემატება უკვე მოქმედი აქტივის ღირებულებას.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი ცვეთის მეთოდით. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები გაანგარიშებულია ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებიდან გამომდინარე.

ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

	ძირითადი საშუალებების ჯგუფი	**სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)**
I	შენობები	20
II	კომპიუტერული ტექნიკა, ოფისის აღჭურვილობა და საწყობის ინვენტარი	4-8
III	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	10

IV	სატრანსპორტო საშუალებები	5-10

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. საქართველოში მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო

ხარჯებში. კომპანიას ამგვარი ოპერაციები აქვს დაბეგრილი საანგარიშო პერიოდში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო თანხით.
თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

წმინდა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით.

ამიტომ „კომპანია“ ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და ამ მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისაგან (ტრანსპორტირება და დასაწყობება). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების (გამოყენებულის და ნაშთად არსებულის) ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში
კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი
მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის
განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი
აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს
წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-
ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს
კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული
ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არამწარმოებლურ ფინანსურ აქტივს ფიქსირებული
ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ
ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ
ტრანზაქციების დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის
შეძენასა და გაცემასთან. შემდეგ კი აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული
ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის
გამოყენებით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან
მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი
გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას
ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი
რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან კომპანია არ გადასცემს აქტივის

ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც მომწოდებლების მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით შემცირებული ტრანზაქციის ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კომპანია მიღებულ სესხებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება. ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბლანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსნებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდოულად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივი, რომელიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და სავაჭრო მოთხოვნებისგან (დებიტორული დავალიანება).

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, საეჭვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.
სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საზოგადოების მიერ შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

საზოგადოების შემოსავლები მოიცავს:

სასტუმროს მოწყობილობების და სხვა საჭირო ფასულობების მიწოდებით მიღებული შემოსავლები;

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.
კომპანიაში ხარჯების აღიარების კრიტერიუმები შეესაბამება ფასს მსს-ის მოთხოვნებს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.
სავაჭრო ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანასური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

<u>შენიშვნა 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები</u>

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და

დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შენიშვნა 5. ფასს მსს-ზე გადასვლის განმარტება

როგორც მე-2 შენიშვნაშია ნათქვამი, კომპანია ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად.

მე-2 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

შენიშვნა 6. შემოსავალი

	2023	2022
შემოსავალი გაყიდული პროდუქციიდან	3307334	3949103
სხვა საოპერაციო შემოსავლები	-	13885
სულ საოპერაციო შემოსავალი	**3 307 334**	**3 962 988**

შენიშვნა 7. თვითღირებულება

	2023	2022
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	1408626	1589485
საწვავ საცხებ-საპოხი მასალები	35884	40740
სხვა საოპერაციო ხარჯები	1822	5845
სულ:	**1 446 332**	**1 636 070**

შენიშვნა 8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ნარჩენების მართვის სამინისტროს ხარჯი	77	50
რეკლამის ხარჯები	2318	1676

მივლინების ხარჯები	43248	2672
შრომის ანაზღაურება	317893	292477
ელექტროენერგიის გადასახადი	0	1897
სოციალური დანარიცხები	6432	6014
საიჯარო ქირა	0	9478
საოფისე ინვენტარი	140	0
საკანცელარიო ხარჯი	6163	3214
ოფისის ხარჯები	1010	0
კომუნიკაციის ხარჯები	7315	5481
სიგნალიზაციის ხარჯი დაცვა	902	0
კომუნალური ხარჯები	7208	6583
პროგრამული უზრუნველყოფა	7894	3895
პარკირების ხარჯი	278	303
დაზღვევა	5795	5497
ამ ტექინსპექტირების ხარჯი	83	0
სამეურნეო ხარჯი	1204	1436
მანქანის მიმდინარე რემონტი	18445	10647
კომპიუტერის ხარჯები	308	1357
ნოტარიუსის და საჯარო რეესტრის ხარჯები	778	104
აუდიტორული მომსახურება	1695	1695
ლოჯისტიკის მომსახურება	79	228
ცვეთა და ამორტიზაცია	93580	84826
უტილიზაციის ხარჯი	2663	2665
სხვა საგადასახადო ხარჯი	21987	14473
ბანკის ხარჯი	3738	9926
GPS	1678	1564
სხვა საერთო ხარჯი	2805	8605
მარკეტინგული ხარჯი	2000	0
წარმომადგენლობითი ხარჯი	2056	0
სულ	**559 772**	**476 763**

შენიშვნა 9. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2023	**2022**
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	33708	232302
სულ	**33 708**	**232 302**

შენიშვნა 10. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2023	**2022**

არასაოპერციო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6 286	3 404
სულ არასაოპერაციო ხარჯი	**6 286**	**3 404**
არასაოპერაციო ხარჯები		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	22873	41952
სულ არასაოპერაციო ხარჯი	**22 873**	**41 952**

შენიშვნა 11. ფინანსური შემოსავალი/ ხარჯი

	2023	2022
ფინანსური ხარჯი (საპროცენტო ხარჯი)	79702	93237
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	**79 702**	**93 237**

12. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები 2110	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა/ნაგებობები 2130	მანქანა-დანადგარები 2150	ოფისის აღჭურვილობა 2160	ავეჯი და სხვა ინვენტარი 2170	სატრანსპორტო საშუალებები 2180	სულ ძირითადი საშუალებები
ისტორიული ღირებულება								
31.12.2020	**81 770**		**884 396**	**415**	**33 194**	**18 801**	**98 501**	**1 117 077**
შემოსვლა	-		467 584	269	8 960	4 013	25 500	506 326
გასვლა/ჩამოწერა	-		-	182	-	-	19 717	19 899
31.12.2021	**81 770**		**1 351 980**	**502**	**42 154**	**22 814**	**104 284**	**1 603 504**
შემოსვლა	-	785 133	10 789	-	10 160	17 415	42 964	866 461
გასვლა/ჩამოწერა	-		-	-	-	-	5 672	5 672
31.12.2022	**81 770**	**785 133**	**1 362 769**	**502**	**52 314**	**40 229**	**141 576**	**2 464 293**
შემოსვლა	-	82 936	-	169	26 232	-	-	109 337
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
31.12.2023	**81 770**	**868 069**	**1 362 769**	**671**	**78 546**	**40 229**	**141 576**	**2 573 630**
დაგროვილი ცვეთა								
31.12.2021	-		**(168 850)**	**(186)**	**(20 239)**	**(6 776)**	**(41 383)**	**(237 434)**
პერიოდის ცვეთა			(67 490)	(93)	(4 230)	(2 487)	(10 527)	(84 827)
გასვლა/ჩამოწერა							(4 778)	(4 778)
31.12.2022	-		**(236 340)**	**(279)**	**(24 469)**	**(9 263)**	**(47 132)**	**(317 483)**
პერიოდის ცვეთა			(67 490)	(126)	(5 756)	(4 110)	(16 099)	(93 581)
გასვლა/ჩამოწერა			-	-	-	-	-	-
31.12.2023	-		**(303 830)**	**(405)**	**(30 225)**	**(13 373)**	**(63 231)**	**(411 064)**
საბალანსო ღირებულება								

ბალანსი 31.12.2021	81 770		1 183 130	316	21 915	16 038	62 901	1 366 070
ბალანსი 31.12.2022	81 770	785 133	1 126 429	223	27 845	30 966	94 444	2 146 810
ბალანსი 31.12.2023	81 770	868 069	1 058 939	266	48 321	26 856	78 345	2 162 566

შენიშვნა 13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31/12/2023	*31/12/2022*	*31/12/2021*
ნედლეული და მასალები	0	10303	9834
მცირეფასიანი ინვენტარი, სარემონტო მასალები და სხვა მარაგები	5648	153	456
საქონელი	2832959	2379706	1799589
სულ მარაგები	**2838607**	**2390162**	**1809879**

შენიშვნა 14. სავაჭრო მოთხოვნები

	31/12/2023	*31/12/2022*	*31/12/2021*
სავაჭრო მოთხოვნები	62746	60780	42861
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**62746**	**60780**	**42861**

შენიშვნა 15. სხვა აქტივები

	31/12/2023	*31/12/2022*	*31/12/2021*
სხვა აქტივები	10928	0	11113
სულ სხვა აქტივები	**10928**	**0**	**11113**

შენიშვნა 16. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

	31/12/2023	*31/12/2022*	*31/12/2021*
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	140579	747427	220733
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	1552	6830
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	0	0	1072
სულ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	**140579**	**748979**	**228635**

შენიშვნა 17. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	31/12/2023	*31/12/2022*	*31/12/2021*
ნაღდი ფული სალაროში	4441	799	3802
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	91873	83561	9758
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	1763	100621	82
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები	**98077**	**184981**	**13642**

შენიშვნა 18. კაპიტალი

	31/12/2023	*31/12/2022*	*31/12/2021*
კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	4312318	3608653	2235177
სულ კაპიტალი	**4312318**	**3608653**	**2235177**

შენიშვნა 19.სავაჭრო ვალდებულებები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	7716	2875	40896
სულ სავაჭრო ვალდებულებები	**7716**	**2875**	**40896**

შენიშვნა 20. სხვა ვალდებულებები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
გადასახდელი ხელფასები	0	7703	7287
სულ სხვა ვალდებულებები	**0**	**7703**	**7287**

შენიშვნა 21. მიღებული ავანსები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მყიდველებისაგან მიღებული ავანსები	27536	36579	24397
სულ მიღებული ავანსები	**27536**	**36579**	**24397**

შენიშვნა 22. საგადასახადო ვალდებულება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
საგადასახადო ვალდებულება	0	5413	0
სულ საგადასახადო ვალდებულება	**0**	**5413**	**0**

შენიშვნა 23. სესხები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი სესხები	965934	1870486	1164439
სულ სესხები	**965934**	**1870486**	**1164439**

შენიშვნა 24. პირობითი გარემოებები

პოლიტიკური გარემო და რეგულაცია

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს ხელისუფლების მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

სამართლებრივი დავები

კომპანიის მიერ სასამართლო დავები არ მიმდინარეობს.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოს დაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

შენიშვნა 25. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად ითვლება დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი

გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

ანგარიში	პირი	ოპერაცია	თანხა	დავალიანება
1 410 819	არსენ ოდიშვილი	მიწოდება	4222,05	0
1 410 819	არსენ ოდიშვილი	გადახდა	4222,05	0
1 410 821	ირაკლი ამანათაშვილი	მიწოდება	2007,62	0
1 410 821	ირაკლი ამანათაშვილი	გადახდა	2007,62	0
1 410 828	ნანა გეგელაშვილი	მიწოდება	1332,03	0
1 410 828	ნანა გეგელაშვილი	გადახდა	1336,03	0

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება

კომპანიის დამფუძნებლები ასევე წარმოადგენენ უმაღლეს მენეჯმენტს და მათ შრომის ანაზღაურებაზე ხარჯმა შეადგინა:

	2023 წ	**2022 წ**
დირექტორი (3 კაცი)	40 500	35 176

26. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.
აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები" მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას.

2024 წელს გამოაცხადა და იანვარ-სექტემბერში გადაიხადა დივიდენდი 379 762 ლარი.

შენიშვნა 28. ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანიას პროგნოზირებად მომავალში არ გააჩნია ლიკვიდაციის ან საქმიანობის მასშტაბების არსებითად შემცირების სურვილი.

29. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2024 წლის 02 ოქტომბერს.